საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასებები

თბილისი, 12 ივლისი, 2021წ.

სარჩევი

აბუსერიძე გოჩა 4

გოგიაშვილი გიორგი 10

ზარნაძე ეკა 14

თევზაძე ლევან 18

მესხიშვილი ქეთევან 20

ნადარაია რევაზ 24

სტურუა ბიძინა 27

ქოჩიაშვილი ლაშა 30

შავლიაშვილი გიორგი 33

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მართლმსაჯულებისა და სასამართლო რეფორმების კომიტეტმა, USAID/PROLoG-ისა და ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის (ABA) ექსპერტთა მხარდაჭერით, შეიმუშავა საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შეფასების მეთოდოლოგია.

აღნიშნული მეთოდოლოგიის უმთვარეს მიზანს წარმოადგენს ადვოკატურის, როგორც მართლმსაჯულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ჩართულობის გაძლიერება საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესში და საზოგადოებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება კანდიდატთა უზენაეს სასამართლოს მოსამართლის თანამდებობასთან შესაბამისობის თაობაზე.

შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით, ადვოკატთა ასოციაცია უზენაეს სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატებს აფასებს შემდეგი კრიტერიუმებით:

1) სამოსამართლო/პიროვნილი თვისებები;
2) პროფესიული კომპეტენცია.

თავის მხრივ, თითოეული ზემოთხსენებული კრიტერიუმი მოიცავს შემდეგ ქვე-კრიტერიუმებს, რომელზეც ყურადღება გამახვილდა წინამდებარე შეფასებების შემუშავების პროცესში:

1) <u>**სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:**</u>
   ა) კანდიდატის რეპუტაცია იურიდიულ წრეებში;
   ბ) კანდიდატის პიროვნება:
   ბ) ხასიათი, საქმისადმი დამოკიდებულება;
   ბ) სამართლიანობა;
   ბ) შემწყნარებლობა;
   ბ) თანაგრძნობა;
   ბ) სიმტკიცე;
   ბ) განსხვავებული აზრის მიმღებლობის და გაზიარების უნარი;
   ბ) მოთმინების უნარი;
   ბ) სტერეოტიპებისგან თავისუფლება;
   გ) კანონის წინაშე თანასწორობის იდეის ერთგულება;
   დ) ეთიკური ღირებულებები;
   ე) ფართო აზროვნების უნარი.

2) <u>**პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევები**</u>

ა) პროფესიული განათლება და ინტელექტუალური შესაძლებლობები;
ბ) ზეპირი და წერილობითი მსჯელობის უნარი;
გ) ანალიზის უნარი;
დ) კანონის ცოდნა ნორმის განმარტების უნარი.
ე) სასამართლო პრაქტიკის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ცოდნა;
ვ) პროფესიული გამოცდილება.

ამასთან, შეფასების ამოსავალ პრინციპს წარმოადგენს, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მოსამართლე უნდა ფლობდეს განსაკუთრებულ პროფესიულ კვალიფიკაციას, სამართლის ნორმათა განმარტების და საუკეთესო საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკების განზოგადების და სასამართლო პრაქტიკის განვითარების გამორჩეულ უნარებს.

შეფასების მიზანს წარმოადგენს, გაკეთდეს დასკვნა კანდიდატების კვალიფიკაციის ხარისხის თაობაზე, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ა) მაღალკვალიფიციური - შეფასების მინიჭება შესაძლებელია, თუ კანდიდატი უმაღლესი და გამორჩეული სტანდარტით აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს.
ბ) კვალიფიციური - შეფასების მინიჭება შესაძლებელია, თუ იგი მაღალი სტანდარტით აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს.
გ) ნაკლებად კვალიფიციური - შეფასების მინიჭება შესაძლებელია, თუ იგი საშუალო ან საშუალოსთან მიახლოებული სტანდარტით აკმაყოფილებს ზემოთ მითითებულ კრიტერიუმებს.

კანდიდატთა შეფასებები მოკლე მიმოხილვა	
აბუსერიძე გოჩა	სამოსამართლო თვისებები: **კვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **კვალიფიციური**
გოგიაშვილი გიორგი	სამოსამართლო თვისებები: **კვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **მაღალკვალიფიციური**
ზარნაძე ეკა	სამოსამართლო თვისებები: **მაღალკვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **მაღალკვალიფიციური**
თევზაძე ლევან	სამოსამართლო თვისებები: **ნაკლებად კვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **კვალიფიციური**
მესხიშვილი ქეთევან	სამოსამართლო თვისებები: **მაღალკვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **მაღალკვალიფიციური**
ნადარაია რევაზ	სამოსამართლო თვისებები: **ნაკლებად კვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **კვალიფიციური**
სტურუა ბიძინა	სამოსამართლო თვისებები: **კვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **კვალიფიციური**
ქოჩიაშვილი ლაშა	სამოსამართლო თვისებები: **კვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **კვალიფიციური**
შავლიაშვილი გიორგი	სამოსამართლო თვისებები: **კვალიფიციური**
	პროფესიული კომპეტენცია: **მაღალკვალიფიციური**

კანდიდატთა ინდივიდუალური შეფასებები

1. აბუსერიძე გოჩა

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

აღნიშნული კრიტერიუმის შეფასების ნაწილში შემფასებლის მიერ გამოკითხულ იქნა ადვოკატთა ასოციაციის წევრები, რომელთა საქმეები რიგ შემთხვევაში დასრულდა მათთვის სასურველი და ასევე, არასასურველი შედეგით. გამოკითხული პირების მიერ კანდიდატი დასახელებულ იქნა, როგორც კვალიფიციური, კომპეტენტური, მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების და სამოსამართლო უნარ-ჩვევების მქონე პირი. კანდიდატი არ არღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს, სასამართლო სხდომას მართავს კვალიფიციურად და გამოირჩევა მხარეების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით. მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე კანდიდატი იურიდიულ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით.

საქართველოს იუსტიციის საბჭოში და საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას კანდიდატი რიგ შემთხვევებში გრძნობდა უხერხულობას მისი პიროვნების დადებითი მხარეების შინაარსის შემცველ კითხვებზე პასუხის გაცემისას, თვლიდა, რომ მისი პიროვნება, კომპეტენტურობა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ გამწესების მიზანშეწონილობის შესახებ, უნდა იქნეს შეფასებული შესაბამის ეტაპზე საქართველოს იუსტიციის საბჭოს და საქართველოს პარლამენტის მიერ. შემფასებლის აზრით უმჯობესი იქნებოდა კანდიდატს მეტად მტკიცედ ემსჯელა საკუთარი ღირსებების შესახებ და დაეძლია უხერხულობის შეგრძნება, თუმცა საკუთარი ღირსებების აღწერისას წარმოქმნილი მისი განწყობა, უნდა შეფასდეს კანდიდატის ზომიერი თავმდაბლობის მაჩვენებლად.

შესწავლილი მასალიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობებს და აქვს მტკიცე ხასიათი. მიღებული განათლებისა და გამოცდილების საფუძველზე, დასმულ საკითხებზე თავისუფლად და ფართოდ მსჯელობის უნარი გააჩნია. კანდიდატი სხვადასხვა საკითხების შესახებ მსჯელობისას ინარჩუნებდა მის აზრს, თავისუფლად გადმოსცემდა სათქმელს და კვალიფიციურად ასაბუთებდა გადმოცემულ აზრს.

კანდიდატმა საქართველოს იუსტიციის საბჭოში გასაუბრებისას განაცხადა, რომ წარდგენილი ჰქონდა მის მიერ გამოტანილი სამი გადაწყვეტილება, რომელიც შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ მისი პროფესიული საქმიანობის სამ ეტაპს ასახავდა: დასაწყისს, შუა პერიოდსა და ბოლო პერიოდს. ამ ჟესტით მან ერთგვარი შედარება მოახდინა და განაცხადა, რომ კარიერის ბოლო პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთება არის მეტად მაღალკვალიფიციური. კანდიდატმა კითხვაზე გასცა პასუხი, რომ მისი კარიერის ადრეულ ეტაპზე მას არ ჰქონდა მზაობა გამოეხატა სურვილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ გამწესებაზე, თუმცა დღეის მდგომარეობით თვლის, რომ მისი განათლება, კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება აძლევს მას იმის განცდას, რომ არის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის პოზიციაზე ღირსეული კანდიდატი. აღნიშნული დამოკიდებულებიდან გამომდინარე შემფასებელი მიიჩნევს, რომ კანდიდატი არ ერიდება საკუთარი თავის კრიტიკულად შეფასებას და მოწოდებულია მუდმივად პროფესიული გაზრდისა და განვითარებისკენ, რაც გულისხმობს რომ იგი მაღალ სტანდარტს უწესებს საკუთარ თავს, რაც მის პროფესიონალიზმზე და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით დამოკიდებულებაზე მიუთითებს.

საქართველოს იუსტიციის საბჭოში კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლება და რა შემთხვევებშია მისი შეზღუდვა დასაშვები, კანდიდატმა გამოხატვის თავისუფლების განმარტებისას გამოიყენა აშშ-ის კონსტიტუციის მითითება, გამოკვეთა სამი ძირითადი უფლება: თავისუფლება, თანასწორობა და საკუთრება, რაც აშშ-ის კონსტიტუციის ძირითად საფუძვლად მიიჩნია. კანდიდატმა

იმსჯელა, რომ გამოხატვის თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ამ კუთხით, გამოკვეთა ორი სახის მიდგომა: ამერიკული და ევროპული მოდელი. ამერიკული მიდგომის შესახებ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებზე და აშშ-ის კონსტიტუციის პირველ შესწორებაზე მიუთითა, განმარტა, რომ „კონგრესს ეკრძალება მიიღოს იმგვარი კანონი, რომელიც დააკნინებს გამოხატვის თავისუფლების არსს“. კანდიდატმა განმარტა, რომ აშშ-ის პრაქტიკის მიხედვით გამოხატვის თავისუფლება უფრო ნაკლებად იზღუდება ვიდრე, ევროპული ქვეყნების პრაქტიკის მიხედვით. მისი პოზიციის დასაბუთებისთვის მოახდინა ევროკონვენციის მე-10 მუხლის ჩანაწერის ციტირება. კანდიდატმა გააკეთა მითითება ე.წ. სამწვეროვანი ტესტის შესახებ. მისი მსჯელობის შეჯამებისას კანდიდატმა საქართველოში გამოხატვის თავისუფლება ევროპულ სამართლის მოდელს მიამსგავსა მეტად ვიდრე აშშ-ის პრაქტიკას, რაშიც არ დაეთანხმა კითხვის დამსმელი. კანდიდატმა იმ ეტაპზე პოზიცია არ შეცვალა, თუმცა მის მტკიცებას სიმყარე მოაკლდა. საქართველოს პარლამენტში კანდიდატმა შეცვალა პოზიცია და გამოხატვის თავისფულების ევროპულ და ამერიკულ მიდგომებზე საუბრისას განაცხადა, რომ საქართველოში არის მაღალი გამოხატვის თავისუფლება, შესაბამისად შეაფასა როგორც საკითხისადმი ამერიკული მიდგომა და არა ევროპული. კანდიდატმა მისი შეფასება დაასაბუთა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დებულებით, სადაც „გამოხატვის თავისფულება შეიძლება შეიზღუდოს საჯარო მორალით, ჯანმრთელობის, სასამართლო ავტორიტეტის საფუძველზე, დღესდღეობით ამგვარ სტანდარტს საქართველოს კონსტიტუცია არ ადგენს“.

შემფასებელის აზრით კანდიდატს იგივე საკითხზე მსჯელობისას საქართველოს იუსტიციის საბჭოში შედავებისას სიმტკიცე დააკლდა. საქართველოს პარლამენტში გასაუბრებამდე კანდიდატმა სავარაუდოდ მეტად სიღრმისეულად შეისწავლა საკითხი, შეიცვალა აზრი და სამართლებრივად დაასაბუთა მისი პოზიცია. ეს კონკრეტული შემთხვევა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც კანდიდატის მიერ განსხვავებული აზრის მიმღებლობისა და გაზიარების უნარი. ამასთან, კანდიდატმა გაიაზრა და სხვაგვარად განმარტა იგივე სამართლის ნორმა, რაც გულისმობს, რომ მან არა უპირობოდ გაიზიარა სხვისი აზრი, არამედ მეტად ჩაუღრმავდა საკითხს.

კანდიდატი გასაუბრებებზე გამოირჩეოდა მოთმინების უნარით, კერძოდ ის ბოლომდე უსმენდა კითხვის დამსმელს და შემდგომ სცემდა პასუხს. პასუხების გაცემისას მიჯნავდა პროფესიულ და პოლიტიკურ შეკითხვებს. კანდიდატმა ღიად ისაუბრა სასამართლო სისტემაში არსებულ რიგ გამოწვევებზე, როგორიცაა სასამართლოს გადატვირთულობა და საპროცესო ვადების დარღვევა. ორი უკიდურესობიდან პრიორიტეტულად მიიჩნია საქმის განხილვის ვადის დაცვა, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილების მომზადების ვადის. თვლის, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო ნაკლებად უნდა იყენებდეს საქმის ქვემდომ ინსტანციაში

დაბრუნების უფლებას, მისი მოსაზრებით სასამართლო უნდა ეცადოს გადაწყვიტოს დავა და დაასრულოს საქმე, რათა მხარის უფლება სწრაფი მართმსაჯულების მიღების შესახებ იყოს დაცული იყოს. მან მისი პოზიციის სიმყარისთვის გაიხსენა საქმე „ვაზაგაშვილი საქართველოს წინაღმდეგ“ და მოახდინა გადაწყვეტილებიდან ციტირება „დაგვიანებული მართმსაჯულება მართმსაჯულებაზე უარის თქმას გულისმობს“. კანდიდატი თითქმის ერთგვაროვანი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა კითხვის დამსმელების მიმართ, მიუხედავად კითხვის შინაარსისა არ შედიოდა პოლემიკაში, ცდილობდა ყველა კითხვაზე გაეცა პასუხი. არც ერთ კითხვაზე არ ჰქონია პასუხის პირდაპირი ფორმულირება რომ საკითხი არ იცის.

ზეპირი მსჯელობისას პირდაპირ კომუნიკაციას ამყარებს მოსაუბრესთან, არის თავშეკავებული, აკონტროლებს ემოციებს, თუმცა რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას, იგრძნობოდა მომეტებული ემოციური ფონი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას მან გულახდილად მაგრამ არა მტკიცედ განაცხადა, რომ 2021 წლის 4 ივლისს სახელმწიფომ „ალბათ არასაკმარისი ღონისძიებები განახორციელა“ მისი პოზიტიური ვალდებულების შესასრულებლად, რომ დაეცვა უმცირესობის წარმომადგენლები.

კანდიდატმა თავი არ აარიდა სასამართლოს სანდოობის საკითხზე მსჯელობას და ამ გამოწვევის გადაჭრის ერთ-ერთ გზად მიუთითა სპიკერი მოსამართლეების მეტი აქტიურობა მედიასთან სასამართლო საქმიანობის შესახებ საზოგადოებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდების მიზნთ. ასევე, სტუდენტების კომუნიკაცია სასამართლოსთან და მოქმედ მოსამართლეებთან.

მიშელის დოკუმენტის შესახებ კითხვაზე პასუხად კანდიდატი შეეცადა პოზიტიურად წარმოეჩინა ის ფაქტი, რომ არ იქნა გაზიარებული პროცესიის შეჩერების რეკომენდაციები. კანდიდატმა განაცხადა, რომ არის კანონმორჩილი ადამიანი და მისი ვალდებულება იყო ჩანიშნულ დღეს გასაუბრებაში მონაწილეობა მიეღო. კონკრეტულად ამ საკითხზე მსჯელობისას შემფასებელი მიიჩნევს, რომ კანდიდატმა წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით სწორი პასუხი გასცა, მაგრამ მოცემული პასუხით თავი აარიდა დასმულ ძირითად საკითზე პირდაპირ პასუხს, რითაც შეეცადა დეპუტატების სიმპათია შეენარჩუნებინა, შესაბამისად შემფასებელი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში კანდიდატი არ იყო ბოლომდე გულახდილი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას დაისვა კითხვა სასამართლო ხელისუფლებაში გავლენიანი ჯგუფების არსებობის შესახებ, სადაც განაცხადა, რომ შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, ამ შინაარსის კითხვის გამო. საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას, დეპუტატის შეკითხვაზე პასუხად განაცხადა, რომ არ თვლის თავს შეურაცხყოფილად, საქართველოს სასამართლოში

„კლანური მმართველობის“ შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2020 წლის ანგარიშში არსებული ჩანაწერის გამო. კანდიდატმა განმარტა, რომ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ამ ჩანაწერით ვერ იქნება შეურაცხყოფილი. თვლის, რომ ეს ანგარიში არ იარსებებდა მოცემული ტექსტით, საერთაშორისო ორგანიზაციებს სასამართლოსთან მეტი შეხება და კომუნიკაცია რომ ჰქონდეთ. იმავდროულად, მან დაადასტურა მისი განწყობა ქართული მედიის მიმართ, როცა იგივე შინაარსის მოცემულობით - სასამართლო სისტემაში ე.წ. „კლანური“ მმართველობის შესახებ ჟურნალისტის კითხვის ფორმატი მიიჩნია პირად შეურაცხყოფად. ასეთივე რეაქცია ჰქონდა მას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებაზე დასმულ იმავე შინაარსის კითხვაზე. შემფასებლის აზრით ხაზგასმის ღირსია კანდიდატის ამგვარი დამოკიდებულება. ლოგიკას მოკლებულია ერთიდაიგივე საკითხის შესახებ კანდიდატში სხვადასხვა დამოკიდებულების გამოწვევა საკითხის დამსმელი პირის დიფერენციაციის მიხედვით.

კანდიდატის შეფასებას კანონის წინაშე თანასწორობის იდეის ერთგულების, ეთიკური ღირებულებების და ფართო აზროვნების უნარის მიხედვით, შემფასებლის აზრით კანდიდატი მიუხედავად იმისა, რომ რიგ საკითხებზე პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდა, უნდა შეფასდეს საკმაოდ მაღალი სტანდარტით, რაც გამოვლინდა გასაუბრებებზე კანდიდატის პასუხებიდან გამომდინარე, მისი აკადემიური საქმიანობის შესახებ და რიგი გამოწვევების გადაჭრის შესახებ მისი მსჯელობიდან.

პროფესიული კომპეტენცია:

კანდიდატი კარგად იცნობს პროფესიულ ლიტერატურას, აქვს კარგად განვითარებული ზეპირი მსჯელობის და საკითხის ანალიზის უნარი. კანდიდატი ეწევა აკადემიურ საქმიანობას, აღნიშნულის შესახებ საინტერესო დისკუსია შედგა საქართველოს იუსტიციის საბჭოს ერთ-ერთ წევრთან. საკითხი ეხებოდა პრევენციული დაცვის ღონისძიებებს ადმინისტრაციულ სამართალში. კანდიდატმა იმსჯელა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტების შეჩერების შესახებ. მან განმარტა, რომ არსებული სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის შეჩერება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით ხდებოდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ვადით. კანდიდატმა ჩათვალა, რომ სასამართლო ჩარევა უნდა იყოს ზომიერი, განაცხადა, რომ ცდილობს შეცვალოს დამკვიდრებული პრაქტიკა, კერძოდ, აღმჭურველი ადმინისტრაციულ აქტების კანონერების სადავოობისას, აქტის მოქმედების ვადის შეჩერების ვადის დაწევით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე.

კანდიდატმა განაცხადა, რომ თითქმის ფინანსური დაინტერესების გარეშე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას უმაღლეს სასწავლებელში. იგი არის რამდენიმე ნაშრომის ავტორი.

გასაუბრებებზე გამოვლინდა, რომ კანდიდატს გააჩნია კარგი ანალიზის უნარი, იცის და განმარტავს სამართლის ნორმებს. კანდიდატი საკმაოდ მაღალ დონეზე იცნობს როგორც ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. როგორც თავად აცხადებს, დახელოვნებულია ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებაში, თუმცა წარმატებულად გასცა პასუხი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების შესახებ დასმულ საკითხებს. საჭირო შემთხვევებში ახდენს თემატურად კონკრეტული ნორმების, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებების, პრეცედენტებიდან ამონარიდების, ასევე, სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებებიდან კონკრეტული დასაბუთების ციტირებას.

კანდიდატმა მისი პრინციპულობის და მედეგობის საკითხების შესახებ კითხვებს უპასუხა მის მიერ გამოტანილი პრინციპული და დასაბუთებული გადაწყვეტილებებით. კერძოდ, გაიხსენა საქმე სადაც „საია“ იყო მოსარჩელე მხარე და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო მოპასუხე მხარე, სადაც განიხილა საქმე და დააკმაყოფილა „საია“-ს სარჩელი.

ასევე კანდიდატმა იმსჯელა მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, სადაც დავა ეხებოდა სააღსრულებო წარმოებას და როგორც თავად განაცხადა „სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის საკითხი იდგა“, უზენაესმა სასამართლომ პირველ ეტაპზე კონკრეტული მითითებებით დაუბრუნა უკან საქმე ქვედა ინსტანციას, თუმცა როგორც კანდიდატმა განმარტა, მან არ გაიზიარა უზენაესი სასამართლოს მითითებები, გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც შემდგომში უცვლელად დატოვა ზემდგომმა ინსტანციამ.

კანდიდატმა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის კითხვაზე პასუხად განაცხადა, რომ მოსამართლეს უნდა შეეძლოს საზოგადოებისთვის არაპოპულარული შინაარსის გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც გადაწყვეტილებას შეიძლება მოჰყვეს საზოგადოების უკმაყოფილება და ქვეყნის კრიზისი. მეტი სიმტკიცისთვის კანდიდატმა არგუმენტად მოიშველია ცნობილი ფრაზა „კანონი უნდა აღსრულდეს თუგინდ დაიქცეს ქვეყნიერება“. თვლის, რომ გადაწყვეტილება უნდა აკმაყოფილდებდეს კანონიერების და სამართლიანობის პრინციპებს, ვნებათაღელვა კი დროთა განმავლობაში ჩაცხრება.

კანდიდატის პროფესიული გამოცდილების კუთხით უნდა ითქვას, რომ მან ისაუბრა არაერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად, გამოვლინდა მის მიერ ნორმის განმარტების და სასამართლო პრაქტიკის ცოდნის ფაქტი.

პროფესიული კომპეტენციის ნაწილში უნდა აღინიშნოს დასმული კაზუსური ტიპის საკითხი, სადაც კითხვა ეხებოდა ბავშვის უფლებებს - ილახება თუ არა ბავშვის უფლება, როდესაც სხვადასხვა საშუალებებით ხდება ბავშვის ცხოვრების დეტალების გამჟღავნება, მისი საცხოვრებლის საჯაროდ ჩვენება, პერსონალური მონაცემების გასაჯაროვება, ამავე ბავშვის სოციალური დახმარების და მისი გადარჩენის მიზნით.

კანდიდატმა მოახდინა ჟურნალისტის გამოხატვის თავისუფლებისა და ბავშვის ინტერესების შეპირისპირება და ჩათვალა, რომ ბავშვს სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდგომ შეეძლო ედავა მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ჩათვალა, რომ ასეთ დავას დადებითად გადაწყვეტდა. შემფასებლის აზრით კანდიდატმა იჩქარა ამ პასუხის ჩამოყალიბება, რადგან თუ ბავშვის გადარჩენის საკითხი უპირისპირდება მისივე პერსონალური ინფორმაციის დაცვის უფლებას, პრიორიტეტულად ბავშვის არსებობის უფლება უნდა იქნეს დაცული. ამ შემთხვევაში არ უნდა იქნეს მიჩნეული ჟურნალისტის მიერ ინფორმაციის გამჟღავნება მომეტებულ ჩარევად, თუ იგი მოახერხებს გარკვეული ბალანსის დაცვას და არ მოახდენს ინფორმაციის გადამეტებულად მიწოდებას, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ მატერიალური დახმარების გაცემის დროს სწორად შედგენილი და გაჟღერებული სიუჟეტი მუშაობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, რათა საზოგადოების მიერ მოხდეს ბავშვისთვის დახმარების გაწევა, შედეგად მისი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: კვალიფიციური.**
- **პროფესიული კომპეტენცია: კვალიფიციური.**

2. გოგიაშვილი გიორგი

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

კანდიდატი სარგებლობს მაღალი რეპუტაციით იურიდიულ წრეებში, გამოირჩევა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულით, გულმოდგინებით. გამოკითხულმა პირებმა დაახასიათეს კანდიდატი, როგორც მაღალკვალიფიციური მოსამართლე. აღნიშნეს, რომ კანდიდატს აქვს სხვისი აზრის მოსმენის და მიმღებლობის უნარი. კანდიდატი არ არღვევს პროფესიული ეთიკის ნორმებს, დაუფლებულია სხდომის მართვის ხელოვნებას, გამოირჩევა მხარეების მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით.

გამოკითხულ პირთა ობიექტურობის განსამტკიცებლად უნდა ითქვას, რომ გამოკითხული ადვოკატების გამოცდილება კანდიდატთან მიმართებით სხვადასხვაგვარია და მოიცავს, როგორც სასურველი, ასევე არასასურველი შედეგით დასრულებულ საქმეებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას კანდიდატი უპასუხოდ არ ტოვებდა არცერთ კითხვას, ცდილობდა თითოეულ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხები გაეცა. კითხვის დამსმელთან არ შედიოდა მწვავე პოლემიკაში, თანაბარი თავდაჭერილობით პასუხობდა სხვადასხვა პირების მიერ დასმულ სხვადასხვა საკითხებს.

მოსმენილი გასაუბრებებიდან გამომდინარე შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ კანდიდატს გააჩნია სხვადასხვაგვარ საკითხებზე ფართო მსჯელობის უნარი, აქვს მაღალი მგრძნობელობა ადამიანის უფლებების მიმართ, გაცნობიერებული აქვს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის მნიშვნელობა და არის ეთიკური. გასაუბრების დროს დამულ საკითხებს კანდიდატი პასუხობდა ძირითადად სარწმუნოდ.

საქართველოს პარლამენტში დეპუტატის მიერ დაისვა შეკითხვა: „რამდენად კომფორტულად გრძნობთ თავს, იმ კონტექსტში, როდესაც მიშელის შეთანხმება ითვალისწინებს, რომ თქვენი დანიშვნა უნდა შეჩერებულიყო“; დამატებით კითხვის დამსმელმა აუწყა კანდიატს, რომ მისმა წინამორბედმა კანდიდატმა იგივე კითხვაზე პასუხად განაცხადა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო დაცული იყო და ეს გარემოება არ უქმნიდა დისკმფორტს. კანდიდატმა არ გაიზიარა კოლეგის დამოკიდებულება საკითხისადმი და განაცხადა, რომ „როდესაც სისტემა მასობრივი საშულებების მხრიდან ასეთი კრიტიკული წნეხის ქვეშ არის, ჩემზე რასაკვირველია მოქმედებს და ვისურვებდი, რომ უფრო ჯანსაღ გარემოში მემუშავა. რასაკვირველია ეს ასეა და მე ვერ დავიჯერებ, რომ სხვა მოსამართლესაც არ სურდეს ის, რომ უფრო მეტი ავტორიტეტი იყოს, უფრო მეტი მხარდაჭრა იყოს სასამართლო ხელისუფლების მიმართ. მოქმედებს უარყოფითად“. თუმცა კანდიდატმა იქვე ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ მან ამავე დოკუმენტში ვერ ნახა რა რეფორმაზეა საუბარი, რის გამოც რეკომენდირებულია მოსამართლეთა გამწესების პროცესის შეჩერება. შემფასებლის აზრით, კანდიდატი საკითხზე პოზიციის ჩამოყალიბებისას გულახდილი იყო, თუმცა მაინც სცადა სასამართლო სისტემის ადმინისტრაციული რგოლის მოქმედებისათვის საპატიო მიზეზის შექმნა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ დასმული საკითხზე, რომელიც ეხებოდა კანდიდატის მოსაზრებას, „უნიფიცირებული პრაქტიკის მნიშვნელობის, ერთგვაროვანი განჭვრეტადი მართმსაჯულების დამოკიდებულების აუცილებლობის“ პირობებში, ქვედა ინსტანციის მოსამართლის „ძალიან თამამი, კრეატიული“ და მაღალი სტანდარტით დასაბუთებული გადაწყვეტილების

გამოტანის შემთხვევას, რაც იქნებოდა მანამდე არსებული პრაქტიკის საწინაადეგო, კანდიდატმა განაცხადა, რომ დაფასებული უნდა იქნეს ქვედა ინსტანციის სასამართლოს სითამამე, რადგან სწორედ ქვედა ინსტანციის სასამართლომ შესაძლოა უფრო ადრე იგრნოს რომ შესაცვლელია დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა; „ეს ბიძგი, როგორც წესი უნდა წამოვიდეს ქვედა ინსტანციიდან“- განაცხადა კანდიდატმა.

იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორის კითხვაზე სექსუალური უმცირესობის შესახებ, კანდიდატმა განაცხადა, რომ დავის გადაწყვეტისას „საკუთარი იდენტობის რეალიზაციას მივანიჭებდი უპირატესობას“. გარდა იმისა, რომ საკითხის გადაჭრის სწორი გზა დასახა კანდიდატმა, მნიშვნელოვანია, რომ აშკარა იყო მისი თავისუფალი აზროვნება დასმულ საკითხზე, რაც შესაძლოა გაგებულ იქნეს იმდაგვარად, რომ კანდიდატი თავისუფალია სტერეოტიპებისგან.

სასამართლო სისტემაში გავლენიანი ჯგუფის არსებობასთან დაკავშირებულ შეკითხვას კანდიდატი უარყოფითად პასუხობს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირადად ის არავის ზეგავლენებს არ განიცდის - „არანაირი ჩარევა არ ყოფილა ჩემს საქმიანობაში“ და „მაშინ რატომ მოხვდა ტერმინი „კლანი“ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში“, ამ შეკითხვაზე კანდიდატს ასეთი პასუხი აქვს: „ასეთი ინფორმაცია რომ მუსირებს ჩვენს საზოგადოებაში, ეს ფაქტია და მოხვდა (ანგარიშში)“. შემფასებელი მიიჩნევს, რომ ამ პასუხის გაცემისას კანდიდატი არ იყო სრულად გულახდილი.

საქართველოს პარლამენტის წევრის მიერ დასმულ იქნა კითხვა ადამიანური გადაწყვეტილებების და მოსამართლის მიერ შეცდომის გულახდილად აღიარების უნარის ნაწილში, სადაც გაცხადებულ იქნა რეზონანსული საქმე ემრე ჩაბუქის მიმართ, რომელსაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე ეთქვა უარი, მაშინ როცა მისი ექსტრადიციის საკითხი იხილებოდა და იმ დროს მთელს მსოფლიოში მიმიდინარეობდა კრიტიკა თურქეთის მიმართ. თურქეთში ტერორიზმში ბრალდებულების მიმართ არასათანადო მოპყრობა ხდებოდა, ადგილი ჰქონდა წამებას. ამ პირობებში განმცხადებლისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე უარმა განაპირობა მისი ექტრადიცია - შეახსენა კანდიდატს პარლამენტის წევრმა.

კანიდადტმა განაცხადა, რომ კონკრეტულ საქმეზე თავად არ იყო მომხსენებელი მოსამართლე და ამ მიზეზით „სამოტივაციო ნაწილის ზუსტი არგუმენტაციის მოტანა“ გაუჭირდებოდა. ამასთან, დაეთანხმა კითხვის დამსმელს, რომ არც განსხვავებული აზრი არ დაუწერია, არგუმენტად მოიშველია ის ფაქტი, რომ ასეთი კატეგორიის დავაზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი განსხვავებული აზრი არაფერს შეცვლიდა. ამ მიზეზით არ ჩათვალა საჭიროდ, რომ განსხვავებული აზრი დაეწერა. შემფასებლისთვის უცნობია კონკრეტული საქმის დეტალები და ასევე მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, ამიტომ

გადაჭრით ვერ იმსჯელებს ამ კონკრეტული საქმიდან გამომდინარე კანდიდატის სამართლიანობის, თანაგრძნობის და სიმტკიცის შესაძლო პრობლემაზე, თუმცა, აღსანიშნავია თავად კანდიდატის განწყობა, იგრძნობოდა, მისი გარკვეული უკმაყოფილება მიღებული გადაწყვერილების მიმართ, თუმცა მან მის საქმიანობაში შეცდომა ვერ დაინახა.

პროფესიული კომპეტენცია:

შესწავლილი მასალიდან გამომდინარე კანდიდატს გააჩნია მაღალი ხარისხის იურიდიული განათლება, ინტელექტუალური შესაძლებლობები, გამორჩეული ზეპირი, წერითი და ანალიზის უნარები. კანდიდატი ეწევა მოცულობით პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის უნივერსიტეტსა და დავით აღმაშენებლის სახელობის უნივესიტეტებში. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები, მათ შორის ოთხი მონოგრაფია: „შედარებითი ფედერალიზმი“ (2000 წ.); „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“ (2014 წ.); „სამოსამართლო სამართალი“ (2014 წ.); „კონსტიტუციური სამართალი“ (ა. დემეტრაშვილთან თანაავტორობით, 2016 წ.). არის უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი.

გასაუბრებაზე საქართველოს პარლამენტში კანდიდატმა განმარტა, რომ როდესაც ვაფასებთ დისკრიმინაციის შესახებ ფაქტს მოსამართლეს შესაფასებლად უნდა ჰქონდეს, თუ რამ გამოიწვია სეგრეგაცია, გაყოფა. მისი პოზიცია კანდიდატმა ევროკონვენციის მე-14 მუხლით დაასაბუთა და განმარტა, რომ „გაყოფას თვითნებური ხასიათი, თუ არ აქვს აქ დისკრიმინაციის დადგენა გაძნელდება“. „ნებისმიერი განსხვავება არ იძლევა დისკრიმინაციის დადგენის საშუალებას“, დისკრიმინაციის შეფასებისას გამოკვეთა ორი ასპექტი: მოტივი და გაყოფის ხასიათი, რომელიც არ უნდა იყოს თვითნებური.

პარლამენტის წევრის კითხვაზე კანდიდატმა უპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ დისერტაცია აქვს დაცული საკონსტიტუციო სამართლში, მას პრაქტიკაში დაბრუნების შემდგომ არ გამოუყენებია ეს მექანიზმი, რადგან ეს არის ხანგძლივი პროცედურა, რაც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე საქმის შეჩერებას, რაც გამოიწვევს სწრაფი მართმსაჯულების შესახებ მხარეთა უფლების დარღვევას. მისი მოსაზრების განმტკიცების მიზნით, კანდიდატმა გამოარჩია პოლონეთის სასამართლოების პრაქტიკა რომლებსაც „არ უყვართ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა, იმიტომ რომ ეს ხანგძლივი სიამოვნებაა“, „პოლონელი მოსამართლეები ამბობენ, რომ არ არის კონსტიტუციური ნორმის შეფასება, მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს ექსკლუზივი. ჩვენც

შეგვიძლია ეს გავაკეთოთ“. მან განაცხადა, რომ თუ ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია, შეუძლია კონსტიტუციის მიხედვით თავად განმარტოს. თუმცა იქვე დააზუსტა, კონკრეტული შემთხვევები, როცა მიიჩნევდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვა აუცილებელია.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის კითხვაზე საკასაციო ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებაში დაშვებული არსებითი ხასიათის შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორ იმოქმედებდა, კანდიდატმა იმსჯელა ამპაროს ინსტიტუტზე დაყრდნობით გერმაულ სამართლაში, სადაც მხოლოდ სასამართლომ უნდა გაასწოროს დაშვებული შეცდომა. მან განმარტა, რომ ამპარო შემოიღეს, რათა საკონსტიტუციო სასამართლომ გადახედოს და გამოასწოროს საერთო სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომა, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს ფართო კომპეტენციას აძლევს.

კანდიდატი ფლობს მაღალ პროფესიულ კვალიფიკაციას, სამართლის ნორმათა განმარტების და საუკეთესო საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკების განზოგადების და სასამართლო პრაქტიკის განვითარების უნარებს.

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: კვალიფიციური.**
- **პროფესიული კომპეტენცია: მაღალკვალიფიციური.**

3. ზარნაძე ეკა

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

კანდიდატი პროფესიულ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით და ხასიათდება, როგორც გულისხმიერი და ემპათიური პიროვნება. ცალკეულ ადვოკატთა მიერ აღინიშნა, რომ კანდიდატი სამართალწარმოების პროცესში, სამართალწარმოების მონაწილეებთან ავლენს სიმკაცრეს და მტკიცე დამოკიდებულებას, მაგრამ მისი მხრიდან არ ირღვევა პროფესიული ეთიკის მოთხოვნები.

გამოკითხული პირების უმეტესობის მიერ აღინიშნა, რომ კანდიდატი (განსაკუთრებით თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმიანობის დროს, საოჯახო და მემკვიდრეობითი დავების განხილვისას) ყოველთვის ორიენტირებული იყო მის წარმოებაში არსებული დავების მორიგებით დასრულებაზე და აქტიურად მოუწოდებდა მხარეებს სამართალწარმოება დაემთავრებინათ მორიგებით. საქართველოს პარლამენტში გასაუბრების დროს, კანდიდატის მხრიდანაც იქნა განმარტებული, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მხარეთა მორიგების საკითხს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

საქართველოს პარლამენტში გასაუბრების დროს კანდიდატმა არ აარიდა თავი იმგვარ კითხვებზე პასუხების გაცემას, რომელიც უკავშირდებოდა სასამართლოს მიმართ ნდობის საკითხზე მსჯელობას, სასამართლოთა გადატვირთულობის პრობლემატიკას, საპროცესო ვადების დარღვევას, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის შეჩერებას. აღნიშნულ საკითხებზე კანდიდატის მხრიდან ღიად პოზიციის დაფიქსირება შეიძლება მიჩნეულ იქნას მისი მხრიდან სიმტკიცის და გამბედაობის გამოხატულებად. თუმცა, მისი მხრიდან ფაქტობრივად არ იქნა დაფიქსირებული არანაირი პოზიცია კითხვაზე, რომელიც უკავშირდებოდა სასამართლო ხელისუფლებაში გავლენიანი ჯგუფების არსებობას.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია ფართო აზროვნების უნარი და იგი მაღალი სტანდარტით აკმაყოფილებს თანასწორობის იდეისადმი ერთგულებისა და ეთიკური ღირებულებების პრინციპებს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს შემფასებელს აძლევს იურიდიული წრეების წარმომადგენელი პირების გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტში კანდიდატთან გასაუბრების ამსახველი აუდიო-ვიდეო ჩანაწერი და მისი წერილობითი ნამუშევარი, რაც გამოყენებული იქნა შეფასების ანგარიშის შედგენისას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკითხულ პირებს არ მიუთითებიათ კანდიდატის მხრიდან პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში რაიმე იმგვარ გადაცდომაზე, რაც შეიძლება განხილულ იქნეს პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დარღვევად. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში და საქართველოს პარლამეტში კანდიდატმა ვრცლად და დასაბუთებულად ისაუბრა ცალკეულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის დროს დისკრიმინაციის დაუშვებლობის და კანონის წინაშე თანასწორობის საკითხებზე, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ კანდიდატს კარგად აქვს გაცნობიერებული კანონის წინაშე თანასწორიბის პრინციპის არსი და მნიშვნელობა.

კანდიდატის სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა ასევე იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ კანდიდატს გააჩნია ცალკეული სამართლებრივი საკითხების და მათთან დაკავშირებული პრობლემატიკის ფართო ჭრილში დანახვის და გააზრების შესაძლებლობა. კანდიდატმა საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას თავადაც აღნიშნა, რომ მისი აზრით, საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე განწესების შემთხვევაში, მას დაკისრებული მოვალეობის მაღალ დონეზე შესრულების საქმეში ხელს შეუწყობს მისი მრავალწლიანი აკადემიური საქმიანობა.

პროფესიული კომპეტენცია:

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი კარგად იცნობს პროფესიულ ლიტერატურას და არის ორიენტირებული სიახლეების მოძიებასა და გაცნობაზე, მათ შორის არის საკანონმდებლო სიახლეებიც. როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი გახლავთ სამართლის დოქტორი, იგი დღემდე ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, გახლავთ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტების სამაგისტრო თუ სადოქტრო ნაშრომების ხელმძღვანელი, რაც თავადვე იქნა კანდიდატის მხრიდან ხაზგასმული იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების დროს, ისევე როგორც საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას. კანდიდატმა შენიშნა, რომ სადისერტაციო ნაშრომების გაცნობა მას ეხმარება კონკრეტულ სამართლის დარგში არსებული კონკრეტული პრობლემის შესწავლა-გაანალიზებაში და ეს არის ერთ-ერთი გზა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მის პროფესიულ თვითგანვითარებაში.

კანდიდატის მიერ პროფესიული ლიტერატურის ცოდნის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ასევე ის გარემოებაც, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების დროს კანდიდატმა ვრცლად ისაუბრა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისრის მოხსენებაზე, აგრეთვე, ლადო ჭანტურიას მონოგრაფიაზე, რომელიც მიეძღვნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში მოსამართლის უფლებების თემას (გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში).

კანდიდატი ფლობს კარგად განვითარებულ წერილობითი მსჯელობის უნარს. ამის დასტურია ის წერილობითი ნამუშევარი, რომელიც გამოყენებულ იქნა შეფასებისას, ასევე, პროფესიული წრეებიდან მიღებული ინფორმაცია მის მიერ სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთების შესახებ.

კანდიდატს გააჩნია კარგად განვითარებული ანალიზის უნარი. მაგალითად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატთან გასაუბრების პროცესში დასმულ იქნა შეკითხვა იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა აღიარებული რელიგიური ქორწინება სახელმწიფოს მიერ და რელიგიური ქორწინების ფაქტი გაუთანაბრდეს თავისი სამართლებრივი შედეგებით სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ ქორწინებას. ამ საკითხზე მსჯელობის დროს კანდიდატმა კარგად და კვალიფიციურად გააანალიზა დასმული საკითხი სამართლებრივ ჭრილში და ისაუბრა ყველა იმ პრობლემაზე, რაც მისი აზრით, ამ ეტაპზე გაჩნდება რელიგიური ქორწინების სახელმწიფოს მხრიდან აღიარების შემთხვევაში.

კანდიდატი კარგად იცნობს კანონმდებლობას და აქვს ნორმათა განმარტების უნარი. გასაუბრების პროცესში იგი თავისუფლად საუბრობდა კანონის ტექსტზე, ახდენდა ხშირად ნორმათა ციტირებას (მაგალითად ხშირად იყო გამოყენებული მითითება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 354-ე, სამოქალაქო კოდექსის 1158-ე-1160-ე

მუხლებზე). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მხრიდან კანდიდატს დაესვა შეკითხვა, რომლის არსიც მდგომარეობდა იმაში, რომ კანდიდატს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, ხომ არ მოდიოდა წინააღმდეგობაში სსსკ-ის 354-ე მუხლით გათვალისწინებული ინკვიზიციურობის ელემენტი საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ, შეჯიბრებითობასა და თანასწორობაზე დამყარებული პროცესის პრინციპთან, რაზეც კანდიდატის მიერ გაცემული პასუხი იყო კვალიფიციური და კარგად დასაბუთებული, კარგად ახსნილი და გასაგები. საკითხზე მსჯელობისას გამოვლინდა კანდიდატის უნარი, რომ წაიკითხოს და განმარტოს სამართლის ნორმა და გაიგოს მისი შინაარსი.

კანდიდატი კარგად იცნობს როგორც ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს, გასაუბრების პროცესში ცალკეულ საკითხებზე მსჯელობის დროს, კანდიდატის მხრიდან ხშირად ხდებოდა მითითება სხვადასხვა პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე (მაგალითად: „ლობჟანიძე საქართველოს წინააღმდეგ“, „გახარია საქართველოს წინააღმდეგ“, „ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ“ და სხვ.), ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე მითითებები იყო ყოველთვის რელევანტური და პირდაპირ და უშუალო კავშირში იმ საკითხთან, რაზეც კანდიდატი საუბრობდა კონკრეტულ მომენტში. გასაუბრების პროცესში მსჯელობის დასაბუთებისათვის კანდიდატი ასევე იყენებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სხვადასხვა დროს გამოტანილ გადაწყვეტილებებს.

შესაძლოა ითქვას, რომ კანდიდატს კარგად ესმის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებების და თავისუფლებების არსი, შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები და წინაპირობები და სწორად ახდენს ევროპული კონვენციით დაცული უფლებების შინაარსის ინტერპრეტირებას.

ამასთან, გასაუბრებების პროცესში გამოვლინდა ცალკეული საკითხები, რომლებზეც კანდიდატს არ ჰქონდა ზუსტი ან/და ამომწურავი პასუხი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხები მათი მნიშვნელობის და შინაარსის გათვალისწინებით არ წარმოადგენს იმგვარ საკითხებს, რომლებზეც პასუხის დაუფიქსირებლობა შეიძლება მეტყველებდეს კანდიდატის კვალიფიკაციის ნაკლებობაზე.

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: მაღალკვალიფიციური.**
- **პროფესიული კომპეტენცია: მაღალკვალიფიციური.**

4. თევზაძე ლევან

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

კანდიდატი იურიდიულ წრეებში ძირითადად ხასიათდება მოსამართლედ, რომელიც ბრალდების მხარის მიმართ უფრო მეტად სოლიდარულია და ნაკლებად ცდილობს დაცვის მხარეს პოზიციებისა თუ არგუმენტების სიღრმისეულად და პოზიტიურად შეფასებას. ამასთან, იურიდიულ წრეებში განმარტავენ, რომ კანდიდატი სხდომის დარბაზში საქმის განხილვისას კორექტულია და მისი მხრიდან არა აქვს ადგილი პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დარღვევას.

კანდიდატის შესახებ მედიაში ვხვდებით სხვადასხვა სტატიებს, სადაც მის მიერ დაფიქსირებულია მოსაზრებები სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ, 2015 წლის 28 სექტემბერს, Ipress-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში, კანდიდატმა უზენაესი სასამართლოს მაშინდელ თავმჯდომარეს მოსთხოვა, შემდეგში აღარ გაეკეთებინა განცხადებები მოსამართლეთა სახელით და ესაუბრა მხოლოდ, როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. კანდიდატის შესახებ ასევე იძებნება სტატია, აგრეთვე გამოქვეყნებული Ipress-ის მიერ, სადაც კანდიდატი გამოდის ინიციატივით, მოსამართლეთათვის, მათ მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამების/შეფასებების გამო, თავდაცვის ახალი მექანიზმის შექმნის შესახებ.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 2020 წლის 18 დეკემბერს კანდიდატის გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატის თმენის, საწინააღმდეგო აზრის მოსმენა/გაზიარების ხარისხი არ არის მაღალი. ხშირად დაფიქსირდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთი წევრის მიერ დასმულ შეკითხვებზე, ასევე მის მიერ საჯაროდ გამოთქმულ მოსაზრებებზე კანდიდატის მხრიდან ცხარე კამათში ჩართვა, კონტრშეკითხვების დასმა და მწვავე შეფასებები. იურიდიულ კომიტეტში გასაუბრებისას იგრძნობოდა, რომ კანდიდატს ემოციების სრულად გაკონტროლება უჭირდა, აღნიშნული გამოიხატა მისი ჟესტიკულაციით, ზოგიერთ უსიამოვნო შეკითხვაზე პასუხის არგაცემით, კონკრეტული პირების/ორგანიზაციების მიმართ საკუთარი უარყოფითი შეხედულების/აზრის დაფიქსირებით. აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არ გამოირჩეოდა მოსმენის კარგი უნარით, ხშირ შემთხვევაში ბოლომდე არ ისმენდა კრიტიკულ შეკითხვებს, აწყვეტინებდა და პასუხობდა კონტრშეკითხვით ან საერთოდ უარს ამბობდა პასუხის გაცემაზე.

ამასთან, კანდიდატი ახერხებდა კონცენტრირებას კითხვებზე, ცდილობდა პასუხი გაეცა მათზე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში უჭირდა ემოციურად თავის შეკავება. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ასევე პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ კანდიდატისთვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს ემოციური ბალანსის დაცვა მისთვის არასასურველ

საკითხებზე საუბრისას, რაც ობიექტურ დამკვირვებელზე არ ტოვებს პოზიტიურ შთაბეჭდილებას.

კანდიდატი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას ადარებს სასამართლო სისტემებს 2001 და 2008 წლებს შორის, ასევე 2012 წლამდე და შემდომ არსებულ მდგომარეობას. მისი მოსაზრებით სასამართლო სისტემაში იყო კორუფციაც, რაც ლახავდა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპს, ხოლო დღეის მდგომარეობით, აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრილია. კითხვაზე, თუ თავადაც მუშაობდა ასეთ სისტემაში და ბევრი იმ პერიოდში მომუშავე მოსამართლე კვლავ აგრძელებს სასამართლო სისტემაში ყოფნას, ნიშნავს თუ არა, რომ ასეთი მოსამართლეები დღესაც არიან სისტემაში, კანდიდატი პასუხობს, რომ ეს იყო ზოგადი სურათი და არ ეხებოდათ კონკრეტულ მოსამართლეებს, რომლებიც დღეს არიან ისევ სისტემაში.

კანდიდატის მხრიდან პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში რაიმე იმგვარი გადაცდომა, რაც შეიძლება განხილულ იქნეს პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დარღვევად, შემფასებლის მიერ არ იქნა დაფიქსირებული.

პროფესიული კომპეტენცია:

კანდიდატის პასუხები პროფესიულ შეკითხვებზე გახლავთ მკაფიო და გასაგები. კანდიდატი მოღვაწეობს სისხლის სამართლის მიმართულებით. იუსტიციის საბჭოში გასაუბრებისას აცხადებს, რომ შესძლებს გადაეწყოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის მიმართულებით, მიაჩნია, რომ ეს არ წარმოადგენს პრობლემას და მას აქვს საკმარისი უნარი, რესურსი, რომ კვალიფიციურად იმუშაოს ამ მიმართულებითაც. პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში გასაუბრებისას კი გულახდილად განაცხადა, რომ სამოქალაქო მიმართულება მისთვის არ იქნებოდა სასურველი. კანდიდატის ასეთი გულწრფელი პოზიცია პოზიტიურად უნდა იქნას შეფასებული.

გასაუბრებისას გამოიკვეთა მისი კარგი ცოდნა პროფესიული ლიტერატურის სიახლეების კუთხით. ასევე, იგი ეწევა სამეცნიერო მოღვაწეობას. კანდიდატი ფლობს ზეპირი მსჯელობის უნარს.

კანდიდატი გასაუბრების პროცესში ვერ იხსენებს განსაკუთრებულ განმარტებას, რითაც პრაქტიკა შეიცვალა. კანდიდატი განმარტავს, რომ ხშირ შემთხვევაში მისი გადაწყვეტილებები რჩება ძალაში, თუმცა იხსენებს იშვიათ შემთხვევებს, როდესაც გაუქმდა ზემდგომი ინსტანციის მიერ. კანდიდატი არის საკმაოდ თავდაჯერებული საკუთარ ცოდნაში. ასევე აცხადებს, რომ ყველა გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, რაც მიღებულია ზემდგომი სასამართლო სისტემის მიერ და თუ თავად გახდება უზენაესი

სასამართლოს მოსამართლე, თავადვე განმარტავდა ამა თუ იმ საკითხს საკუთარი შეხედულებისამებრ.

კანდიდატი კარგად იცნობს სისხლის სამართლის კანონმდებლობას და აქვს ნორმათა განმარტების შესაბამისი უნარი. ასევე იცნობს საერთაშორისო კანონმდებლობას სისხლის სამართლის მიმართულებით არსებული ნორმების ჭრილში. კანდიდატი საკმაოდ კარგად საუბრობს სისხლის სამართლის სფეროში არსებულ გამოწვევებზე.

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: ნაკლებად კვალიფიციური.**
- **პროფესიული კომპეტენცია: კვალიფიციური.**

5. მესხიშვილი ქეთევან

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

მითითებული კრიტერიუმით შეფასებისას აღსნიშნავია, რომ კანდიდატი სარგებლობს ძალიან მაღალი რეპუტაციით იურიდიულ წრეებში, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ კანდიდატი გამოირჩევა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულით, იგი ერთნაირი გულმოდგინებით იხილავს ყველა კატეგორიის საქმეს, განურჩევლად მათი მნიშვნელობისა, დავის საგნის ღირებულებისა თუ სხვა ნიშნის მიხედვით. გამოკითხული ადვოკატები ერთხმად აღნიშნავენ, რომ პროცესის მიმდინარეობისას კანდიდატი გამოირჩევა განსაკუთრებული გულისხმიერებით, სამართლიანობით, ობიექტურობით, ასევე, მას აქვს სხვისი აზრის მიმღებლობის და მოთმინების უნარი. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ადვოკატების გამოცდილება კანდიდატთან მიმართებით მრავალფეროვანია და მათ შორის მოიცავს, როგორც მოგებულ ისე წაგებულ საქმეებს, თუმცა, კანდიდატის შეფასება მათი მხრიდან ყოველთვის ძალზედ დადებითია.

აქვე აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია სხვადასხვა საკითხებზე ფართო მსჯელობის უნარი, აქვს მაღალი მგრძნობელობა ადამიანის უფლებების მიმართ, გაცნობიერებული აქვს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის მნიშვნელობა და არის გამორჩეულად ეთიკური, რაც დასტურდება როგორც მისი გასაუბრებებისას ისე სხვადასხვა სივრცეში გაკეთებული განმარტებებიდან და სასამართლო სხდომებიდან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ კანდიდატი აბსოლუტურად ყველა კითხვის დამსმელს, ყოველგვარი გამორჩევის ანდა პირადი მოსაზრების ზეგავლენის გარეშე თანაბარი თავაზიანობით პასუხობდა და ცდილობდა თითოეული მათგანის შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გაეცა. ამასთან, არცერთ კითხვის

დამსმელთან არ შესულა მწვავე პოლემიკაში და არ ყოფილა არცერთი კითხვა, რომლის პასუხის გაცემაზეც უარი განცხადა პირადი მოსაზრების გამო.

პროფესიული კომპეტენცია:

შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, კანდიდატს გააჩნია მაღალი ხარისხის იურიდიული განათლება, ინტელექტუალური შესაძლებლობები, გამორჩეული ზეპირი და წერითი კომუნიკაციის, ისევე როგორც ანალიზის უნარები.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კანდიდატი ეწევა ღირებულ და მოცულობით პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, არის არა ერთი საინტერესო სამეცნიერო სახელმძღვანელოს და სტატიის ავტორი/თანაავტორი. კანდიდატის უპირატესობად უნდა ჩაითვალოს ასევე ის გარემოება, რომ იგი არის რამდენიმე განსხვავებული აზრის ავტორი და მას კარგად ესმის მოსამართლის მიერ განსხვავებული აზრის დაწერის დანიშნულება და მისი მნიშვნელობა სამოსამართლო სამართლის განვითარების კუთხით.

კანდიდატი სიღრმისეულად განმარტავს სამართლის ნორმებსა და სამართლებრივ პრინციპებს, ასევე იცნობს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, როგორც საქართველოს ისე სხვა ქვეყნების მიმართ განხილულ საქმეებთან დაკავშირებით, ახდენს მათ ანალიზს და ზოგადად გასაუბრების დროს და ნორმათა განმარტებისას ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით.

თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, გასაუბრებებისას გაკეთებული, მისი რამდენიმე განმარტება:

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა:

„თქვენი აზრი მაინტერესებს, ვისი უფლებაა წინააღმდეგობის გაწევის უფლება? ვის მიერ შეიძლება იქნეს განხორციელებული და ვის შეიძლება მიემართებოდეს?

კანდიდატის პასუხი:

„წინააღმდეგობის უფლება ქალბატონო ნინო ეს არის დემოკრატიის საფუძველი. დემოკრატიის საფუძველია და რატომ? იმიტომ, რომ რისთვის იქმნება სახელმწიფო? სახელმწიფო იქმნება არა იმისთვის, რომ სახელმწიფო არსებობდეს, სახელმწიფო იქმნება იმისთვის, რომ ჩვენი მშვიდობიანი და ბედნიერი თანაცხოვრება უზრუნველყოს. იცით რატომ ვამბობ ბედნიერი თანაცხოვრება? მე მახსენდება დეკლარაცია 1776 წლის რომელიც ამბობს, რომ რისი უფლება აქვს ადამიანს? ადამიანს აქვს... შემოქმედმა ყველა თანასწორი გააჩინა და მათ მისცა სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება და სახელმწიფო იქმნება

იმისთვის, რომ უზრუნველყოს სიცოცხლის, თავისუფლების და ბედნიერებისკენ სწრაფვის უფლება. ამიტომაც, ვინაიდან ეს სახელმწიფო იქმნება აღნიშნული დანიშნულებით, ამიტომაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ თვითონ რომელსაც აქვს დიდი ძალაუფლება და რომელიც აქვს ეს ხალხისგან მონიჭებული ძალაუფლება, განახორციელოს მხოლოდ და მხოლოდ ხალხის მიცემული უფლების ფარგლებში. აი ხალხის მიცემული უფლებამოსილების ფარგლებში რომ უნდა მოთავსდეს სახელმწიფო, აი ეს განაპირობებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ადამიანების წინაშე და თუ ადამიანები შეატყობენ, რომ სახელმწიფო გასცდა მათ მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებას, მათ წარმოექმნებათ ადამიანის უფლებათა სამართალში ძალიან ცნობილი. ე.წ. სუბსიდური უფლება წინააღმდეგობისა და ეს არის ვერტიკალური წინააღმდეგობა, ანუ ადამიანების წინააღმდეგობა სახელმწიფოს მიმართ და სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ, რომ ადამიანებმა მოითხოვონ თავიანთ მიერ, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სახელმწიფოს დაბრუნება და ისევ ჩარჩოში მოთავსება. ეს არის დემოკრატიის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, ასე ვთქვათ, დებულება.“

*****

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა:

„კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით, ჩვენი კონვენციის მე-16 მუხლთან დაკავშირებით. აი, რატომ არ არის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება აბსოლიტური? აი, რატომ შეიძლება ან როგორ შეიძლება შეიზღუდოს რწმენა, სინდისი და, თუნდაც...?“

კანდიდატი პასუხი:

„ნახეთ, ორ ნაწილად გავყოფდი მე რწმენას, სინდისს. ეს არის forum internum რაც არის და რას ნიშნავს ეს. მე რა რწმენაც არ უნდა მქონდეს, რა სინდისის და აღმსარებლობის არ უნდა ვიყო, თუ ეს ჩემთვის არის და მე ამას არ გამოვხატავ, ამ ნაწილში ვარ აბსოლუტური უფლების მატარებელი, მაგრამ როგორც კი ვიწყებ გამოხატვას, უნდა გამოვხატო ამდენად, ჩემი თავისუფლება არსებობს იქამდე, სანამ სხვისი თავისუფლება არ შეილახება და კონსტიტუცია და კონვენცია იმისთვის არის ქვეყანაში, რომ ამ თავისუფლებათა თანაარსებობა განაპირობოს. თავისუფლებათა თანაარსებობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მე კი მაქვს თავისუფლება, და ჩემთვის რელიგია, რწმენა, აღმსარებლობა ბუნებითი უფლების კომპონენტია, თუმცა, სახელმწიფო სწორედ იმისთვის არის შექმნილი, რომ ჩემი ამ ბუნებითი უფლებით თქვენი ბუნებითი უფლება არ შეილახოს. ამიტომაც დგება უფლებათა თანაარსებობის პრობლემა და უფლებათა თანაარსებობას არეგულირებს. რატომ? იმიტომ, რომ, როდესაც მე რელიგიას გამოვხატავ, მე... მათ შორის რელიგიის უფლება ნიშნავს რელიგიის არჩევის, რელიგიის თავისუფლად შეცვლის, რელიგიის გამოხატვის და

პროზელიტიზმის უფლებასაც კი ნიშნავს. ანუ ეს თავისთავად ნიშნავს, რომ მე შემიძლია, რომ, ასე ვთქვათ, დავიყოლიო სხვები. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, უნდა იყოს არააგრესიული, უნდა იყოს შემეცნებითი ხასიათის და ა.შ. და მახსენდება კონიაკინისის საქმე საბერძნეთის წინააღმდეგ, სადაც პირები, ე.ი. ცოლ-ქმარი დადიოდა, ავრცელებდნენ, აი, ამ თავიანთ... და მოხდა მათი მსჯავრდება და სასამართლომ თქვა, რომ, კი, რა თქმა უნდა, აღმსარებლობა შეიძლება შეიზღუდოს, რელიგიის უფლება პროზელიტიზმსაც ნიშნავს, მაგრამ ეს იყო უხეში ჩარევა იმიტომ, რომ ყველა შემთხვევაში რელიგიის უფლება რადგან მოიცავდა გავრცელებასაც, პატიმრობის შეფარდება, როცა არ იყო დადგენილი, რომ ეს იყო აგრესიული ფორმა პროზელიტიზმის.“

****

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის კითხვა:

„შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაზე რა ახდენს ყველაზე დიდ გავლენას - ეს არის გარკვეული თქვენი მეცნიერული შეხედულებები, თქვენი რელიგიური მსოფლმხედველობრივი შეხედულებები თუ რამე ფაქტორთა კომბინაცია? … მოკლედ როგორ ახსნიდით თქვენი შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების ფაქტორებს?“

კანდიდატის პასუხი:

„შინაგანი რწმენა არის ზუსტად ის ფაქტორი, რის გამოც დღეს კომპიუტერულ მეცნირებას არ გადეცა მართლმსაჯულების სფერო და სუბსუმფციას პროგრამული მეშვეობით არ ახორციელებენ. შინაგანი რწმენა არის ჩვენი ადამიანური ნაწილი ჩევნს სამოსამართლო საქმიანობაში, რაც არის უაღრესად მნიშვნელოვანი. შინაგანი რწმენა ყალიბდება აუცილებლად საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ამავდროულად, როდესაც პროცესზე გადიხარ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მხარე როგორ პოზიციონირებს, კითხვებს როგორ სცემს პასუხს, როგორია მისი დამოკიდებულება გარკვეული საკითხის მიმართ. ამით იმის თქმა მინდა, რომ შინაგანი რწმენა არ უნდა გასცილდეს კონკრეტული საქმიდან გამომდინარე იგივე მხარეებს და საქმეში არსებულ მტკიცებულებას. სხვათაშორის, სამოსამართლო ეთიკაში არის ე.წ. „გუგლ სერჩის“ პრობლემა და ეს რას ნიშნავს - „გუგლ სერჩის“ პრობლემა - ეს ნიშნავს იმას, რომ იხილავ საქმეს, გაქვს მტკიცებულებები, გყავს მხარეები, მაგრამ, ამავდროულად, იმიტომ რომ შენ შენი გადაწყვეტილების სიმყარეში დარწმუნდე, დგები, მიდიხარ და დამატებითი ინფორმაციების მოძიებას იწყებ. ეს თავის მხრივ, კეთილსინდისიერი მოსამართლის სიმშვიდისთვის ძალიან კარგია იმ თვალსაზრისით, რომ უფრო რწმუნდება თავისი გადაწყვეტილების სისწორეში და ა.შ. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის იმპლიციტურად დარღვევა შეჯიბრებითობის პრინციპის, იმიტომ, რომ მოსამართლის შინაგანი რწმენის ჩამოყალიბებაში მხარეებმა თანაბარუფლებიანად უნდა მიიღონ მონაწილეობა. ამიტომ, მე თუ ჩემ ოთახში

ჩამოვიყალიბებ შინაგან რწმენას სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, რომელზეც მხარეს ინფორმაცია არ აქვს და ხელიც არ მიუწვდება, გამოდის, რომ მათ ვტოვებ თამაშგარე მდგომარეობაში, ამიტომაც შინაგან რწმენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა მისი გამოყენებაც უნდა მოხდეს ძალიან, ძალიან კეთილსინდისიერად".

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: მაღალკვალიფიციური.**
- **პროფესიული კომპეტენცია: მაღალკვალიფიციური.**

6. ნადარაია რევაზ

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატი გამოირჩევა საქმისადმი ერთგული დამოკიდებულით და მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ გამოკითხული ადვოკატებისგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ გამოირჩევა მტკიცე ხასიათით საქმეთა განხილვისას და იკვეთება მისი მხრიდან პრიორიტეტულად ბრალდების მხარის პოზიციების და მოთხოვნების გაზიარება, რის გამოც არსებობს გარკვეული კითხვები მის სრულად ობიექტურობასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება კანდიდატის უნარს საწინააღმდეგო აზრის მიმღებლობასა და მოთმინებასთან დაკავშირებით, კანდიდატი როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ისე საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას გამოირჩეოდა არასათანადო გულისხმიერებით იმ პირების მიმართ, ვინც კრიტიკულ პოზიციას აფიქსირებდნენ მის მიმართ. ამასთან, მან უარი განაცხადა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის კითხვებზე პასუხის გაცემისაგან პირადი მოსაზრების გამო. აღნიშნული შეიძლება მიანიშნებდეს, რომ კადიდატს არ აქვს მაღალი მგრძნობელობა აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლების მიმართ, არ გააჩნია ყველა პირის მიმართ თანაბარი მოპყრობის ვალდებულების სათანადო გააზრება და არ გააჩნია მოთმინებისა საჭირო უნარები.

კანდიდატი იცნობს როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკას (რაზეც დეტალურად ვისაუბრებთ **„პროფესიული კომპეტენცია და სამოსამართლო უნარ-ჩვევების"** შეფასების ნაწილში), თუმცა მან როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, ისე საქართველოს პარლამენტში გასაუბრებებისას ვერ გამოიჩინა სხვადასხვა საკითხებზე ფართოდ და სიღრმისეულად მსჯელობის უნარი.

პროფესიული კომპეტენცია:

შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, კანდიდატს გააჩნია იურიდიული განათლება, კვალიფიციური ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარები. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ ანდა სამეცნიერო საქმიანობას.

კანდიდატი კარგად იცნობს მოქმედ კანონდმებლობას, ასევე იცნობს საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, თუმცა უჭირს ნორმათა ფართოდ, სიღრმისეულად განმარტება და საკუთარი პოზიციის, სამართლებრივი განამრტებითი კუთხით, გაბედულად, თავდაჯერებულად წარმოჩენა.

თვალსაჩინოებისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, გასაუბრებებისას გაკეთებული, მისი რამდენიმე განმარტება:

დეპუტატის კითხვა:

„უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის მიწის მიყიდვის აკრძალვაზე რას გვეტყვით?“

კანდიდატის პასუხი:

„ეს მნიშვნელოვანი ცვლილებები არის, რადგან ეს კანონმდებელმა ასე ჩათვალა, მისი მიზანშეწონილობაც მე ვთვლი, რომ შესწავლილი არის“.

დეპუტატის კითხვა:

„რამდენად მნიშვნელოვანია, ზოგადად, ეს ინვესტიციის შემოსვლისთვის და აი, ამ ჭრილში რას გვეტყვით, აი, ეს აკრძალვა თქვენთვის მისაღებია თუ არა?“

კანდიდატის პასუხი:

„მე კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, ამის დადებითი და უარყოფითი მხარეები შესწავლილი იქნებოდა. მე ამ მიმართულებით კვლევა არ მიწარმოებია, არა მგონია მაინც და მაინც უცხოელის მიერ მიწის ყიდვაზე იყოს საქართველოში ინვესტიციის შემოდინება დამოკიდებული. რაიმე ნეგატიური დამოკიდებულება ამ ჩანწერთან არ გამაჩნია“

*****

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა:

„დავუშვათ წამქეზებელი, დამხმარე და ამსრულებელი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დამნაშავედ იქნენ ცნობილი პირობითად ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, ამ დანაშაულში. მე მაინტერესებს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა როგორ უნდა მოხდეს? ვგულისხმობ ზიანის

ანაზღაურებას, რა პრინციპის მიხედვით უნდა განაწილდეს სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა?“

კანდიდატის პასუხი:

„მათ როლზე უთითებთ ალბათ?“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა:

„ცოტა განსხვავებული პასუხისმგებლობა ხომ არ იქნება სისხლსა და სამოქალაქოში?… როგორ უნდა აგოს თითოეულმა პასუხი, რა მოცულობით?“

კანდიდატის პასუხი:

„ეს პრაქტიკა არა მაქვს მე ეხლა სასამართლოში და შეიძლება ზუსტი პასუხი ვერ გაგცეთ.“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა:

„არა თქვენი აზრი მითხარით. ან დავუშვათ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს იმას, როდესაც დაზარალებული პატიობს მაგალითად ამსრულებელს ან ამსრულებელი არის გადახდისუუნარო, რა ხდება ასეთ შემთხვევაში?“.

კანდიდატის პასუხი:

„ამსრულებელი არის… ვერ ვიხსენებ ეხლა“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა:

„დავუშვათ სოლიდარული ვალდებულებები რაც არის აქაც სრულად გავავრცელებდით, თითოეულ მათგანს პროპორციის მიხედვით განუსაზღვრავდით? სამართლიანი რა არის მაშინ აი ეს მითხარით, თქვენი აზრით, თანაბრად შეიძლება დაეკისროთ?“

კანდიდატის პასუხი:

„მე თავიდანვე გითხარით ამასთან დაკავშირებით პრქტიკა არა მაქვს და ეხლა ესე სპონტანურად ამაზე მსჯელობა ცოტა არ იყოს მიჭირს. არ ვიცი ეხლა თანაბრად შეიძლება ეს განაწილდეს მათი როლის მიხედვით ამსურელებელი, წამქეზებელი, დამხმარე… სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე როლების მიხედვით ალბათ… არ ვიცი ახლა, ვერ შემოვალ ამაში“.

*****

დეპუტატის კითხვა:

„როგორი ხედვა გაქვთ იმასათან დაკავშირებით, დღეს უზენაესი სასამართლო რამდენად ახერხებს წარმატებით იყოს ის სასამართლო, რომლის მთავარი ფუნქციაც არის არა უბრალოდ კონკრეტული საქმეების განხილვა არამედ სამართლის განვითარება“

კანდიდატის პასუხი:

„გამომდიანრე იქედან, რომ უზენაეს სასამართლოს განმარტებები დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ზოგადად მხარეებში, პირველ და მეორე ინსტანციის მოსამართლეებში, მე ვფიქრობ, რომ ამ კუთხით საქართველოს უზენაესი სასამართლო საკმაოდ განვითარებული არის, თუმცა ამას ჩემი შეხდდულებით შეიძლება ეს დასახვეწიც იყოს, მაგრამ ამას საქმეთა სიმრავლე ბატონო მიხეილ სანამ გადატვირთული იქნება…“

დეპუტატის კითხვა:

„ბოლო ხანებში რა ასეთი (სიახლის შემომტანი) განმარტებაა გაკეთებული უზენაეს სასამართლოს მიერ რომელიც გახსენდებათ?“

კანდიდატის პასუხი:

„ამ დღეებში ვნახე, აქამდე არ მინახავს 2019 წლის დეკემბერის ბოლო გადაწყვეტილება არის ძალიან მოცულობითი და მართლაც წასაკითხი გადწყვეტილება არის და ზოგადად კანონის განმარტებებთან დაკავშირებით, ანალოგიებთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ პრაქტიკულად გადაწყვიტა დავა … სიმართლე გითხრათ შესწავლილი არ არის მაგრამ ვაპირებ“…

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: ნაკლებად კვალიფიციური.**
- **პროფესიული კომპეტენცია: კვალიფიციური.**

7. სტურუა ბიძინა

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

კანდიდატი იურიდიულ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით. გამოკითხული პირების უმეტესობის მიერ კანდიდატი დახასიათებულ იქნა, როგორც კომპეტენტური, პროფესიონალი და გულისხმიერი ადამიანი. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მის მიერ ადგილი არ ჰქონია პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევას.

გამოკითხული პირების უმეტესობის მიერ აღინიშნა, რომ კანდიდატი (განსაკუთრებით მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქმიანობის დროს),

ყოველთვის ორიენტირებულია გაითვალისწინოს ბრალდებულის ინტერესების დამცველთა არგუმენტირებული პოზიცია.

2020 წელს, კანდიდატი გახლდათ ერთ-ერთი რეზონანსული საქმის გ.შ.-ს განზრახ მკვლელობის საქმის განმხილველი მოსამართლე, სადაც მის მიმართ მკვეთრად კრიტიკული განცხადებები კეთდებოდა მონაწილე მხარეების/ბრალდებულების წარმომადგენელთა მიერ. მიუხედავად მის მიერ გამოტანილი განაჩენისა, გამოკითხულ პირთაგან არცერთს არ მოუხდენია კანდიდატის უარყოფითი შეფასება.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს თანასწორობისა იდეისა და ეთიკური ღირებულებების ერთგულების პრინციპს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში გასაუბრებებისას, იგი საკმაოდ კარგად მსჯელობს ქალ და კაც ბრალდებულთა მიმართ თანაბარი და ამასთანავე საგამონაკლისო მიდგომების შესახებ, რაც მისი პრაქტიკული საქმიანობიდანაც დასტურდება. ხაზგასასმელია, რომ კანდიდატს გააჩნია მოსმენისა და კომუნიკაციის კარგი უნარი, რაც, მათ შორის, დასტურდება იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს პარლამენტში გასაუბრების პროცესით - იგი ყურადღებით უსმენდა კითხვების დამსმელებს, საჭიროების შემთხვევაში აზუსტებდა კითხვების შინაარსს საკითხის არსის სწორი გაგების მიზნით, კითხვების ავტორებთან ამყარებდა ვიზუალურ კომუნიკაციას, თავისუფლად და გამართულად ახერხებდა მეტყველებას, შეკითხვების გაცემისას გახლდათ გაწონასწორებული, მათ შორის კრიტიკულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკითხულ პირებს არ მიუთითებიათ კანდიდატის მხრიდან პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში რაიმე იმგვარ გადაცდომაზე, რაც შეიძლება განხილულ იქნეს პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დარღვევად. გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში კანდიდატმა ვრცლად და დასაბუთებულად ისაუბრა ცალკეულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის დროს, თუ რას ნიშნავს სამოსამართლო ეთიკა.

აქვე საგულისხმოა, რომ პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში გასაუბრებისას კანდიდატმა აღნიშნა, რომ მას არ უგრძვნია ზეწოლა, დამოუკიდებლობის რაიმე ფორმით შეზღუდვა არც 2012 წლამდე და არც 2012 წლის შემდგომ. სასამართლოს სისტემის მიმართ დასმულ მწვავე შეკითხვებზე პასუხობს მშვიდად და დამაჯერებლად, თუმცა რჩება შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს შესაძლოა გამოევლინა მეტი გაბედულობა და მედეგობა.

კანდიდატმა დასმულ შეკითხვაზე, თუ რამდენად ვითარდება ქართული მართლმსაჯულება ევროპული კურსით, განმარტა, რომ ქართული სასამართლო სისტემა ვითარდება ევროპული ქვეყნებისთვის დამახასიათებელი სტანდარტებით.

კანდიდატის მიერ ნაკლებად ხდება კრიტიკული აზრის/შეფასების დაფიქსირება. უარყოფითად და თავდასხმად აფასებს სასამართლოს/მოსამართლეების მიმართ დაფიქსირებულ მკვეთრად კრიტიკულ განცხადებებს, თუმცა განმარტავს, რომ ჯანსაღი კრიტიკა მისაღები და აუცილებელია.

პროფესიული კომპეტენცია:

გასაუბრებისას კანდიდატმა გამოავლინა პროფესიული ლიტერატურისა და სიახლეების ცოდნა. გამოიკვეთა, რომ მიუხედავად კანდიდატის მიერ 2009 წელს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სპეციალიზაციით სამოსამართლო გამოცდის ჩაბარებისა, კანდიდატი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას ხშირ შემთხვევაში პასუხობს, რომ ბოლო პერიოდში არ აქვს პრაქტიკული გამოცდილება სამოქალქო მიმართულებით, ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო მიმართულებით არ ახსოვს აღნიშნული კითხვებზე ზუსტი პასუხები, ან არ უფიქრია.

აგრეთვე, დისკრიმიანაციის საკითხებზე კანდიდატს არ აქვს ზუსტი პასუხები, რის მიზეზადაც მის მიერ დასახელდა ბოლო წლებში სისხლის სამართლის სპეციალიზაციით საქმიანობა. მიუხედავად აღნიშნულისა, ასევე გამოიკვეთა, რომ კანდიდატს აქვს მსჯელობის კარგი უნარი და თავს არ არიდებს შეკითხვებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ შეიმჩნევა კანდიდატის ნაკლები ინტერესი, ეცნობოდეს საქართველოს მართლმსაჯულების სფეროში არსებულ საერთაშორისო შეფასებებს. აღნიშნული გამოიკვეთა მისი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების ეტაპზე, სადაც აღნიშნავს, რომ ნაკლებად იცნობს უახლეს საერთაშორისო შეფასებებს საქართველოში მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ. აღნიშნულს კანდიდატი ხსნის პროფესიული მოუცლელობით სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების გამო, რაც გამოყენებული იქნა შეფასების ანგარიშის შედგენისას.

შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა მასზედ, რომ კანდიდატი ფლობს კარგად განვითარებულ ზეპირი მსჯელობის უნარს. კარგად განმარტავს სისხლის სამართლის პროცესში არსებულ პრაქტიკულ პრობლემურ საკითხებს, სადაც თამამად აფიქსირებს დასაბუთებულ მოსაზრებებს.

კანდიდატი ფლობს კარგად განვითარებულ ანალიზის უნარს. მაგალითად, კანდიდატთან საბჭოში გასაუბრების პროცესში დასმულ იქნა შეკითხვა იმის თაობაზე, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება სავალდებულოა თუ არა მოსამართლისთვის. აღნიშნულზე საკმაოდ ვრცელი განმარტება გაკეთდა კანდიდატის მიერ, სადაც მან აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამა თუ იმ მუხლის არაკონსტიტუციურად ცნობის, თუ შინაარსის არაკონსტიტუციურად განმარტების შემთხვევაში სასამართლოს შეუძლია თავადვე განმარტოს კონკრეტული

მუხლი, ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მის შესაბამისად დადგენილი სტანდარტებით.

კანდიდატი კარგად იცნობს სისხლის სამართლის კანონმდებლობას და აქვს ნორმათა განმარტების უნარი. სამწუხაროდ აღნიშნულს ვერ ვიტყვით სამოქალაქო სფეროზე, სადაც კანდიდატი ნაკლებად ან ხშირ შემთხვევაში ვერ ასახელებდა კონკრეტულ მაგალითებს. კანდიდატი საკმაოდ კარგად საუბრობს სისხლის სამართლის სფეროში არსებულ გამოწვევებზე, ასევე, კარგად იცნობს საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო პერიოდის პრაქტიკას და საკმაოდ დეტალურად განმარტავს, თუ რა შემთხვევაში გამოიყენებდა დადგენილ სტანდარტს სისხლის სამართლის საქმის განხილვისას. შესაძლოა ითქვას, რომ კანდიდატს ესმის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლები, თუმცა ნაკლებად იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, რაც ეხებოდა მის მიმართ დასმულ კითხვებს ზემოთნახსენები კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებასთან დაკავშირებით.

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: კვალიფიციური**
- **პროფესიული კომპეტენცია: კვალიფიციური**

8. ქოჩიაშვილი ლაშა

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

შეფასების პროცესში გამოკითხული პირების უმეტესობის მიერ კანდიდატი დახასიათებულ იქნა, როგორც კომპეტენტურ, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე და გულისხმიერ ადამიანად. მათი მხრიდან არ ყოფილა აღნიშნული, რომ კანდიდატის მხრიდან სამართალწარმოების პროცესში დაირღვა პროფესიული ეთიკის მოთხოვნები. საერთო ჯამში კანდიდატი იურიდიულ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით.

საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას, საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე საუბრისას, კანდიდატის მიერ სუსტ მხარედ დასახელებულ იქნა ის, რომ, როგორც წესი, მას უჭირს ისაუბროს თავის თავზე, ხოლო ხანგრძლივი და მდიდარი პროფესიული გამოცდილება კანდიდატმა მოიყვანა ძლიერი მხარის მაგალითად.

გასაუბრების დროს კანდიდატმა ხაზი გაისვა მის პრინციპულობას და ღიად დააფიქსირა, რომ ცალკეული საქმეების განხილვის დროს, მიუხედავად დიდი საზოგადოებრივი ზეწოლისა, მიიღო ის გადაწყვეტილებები, რის მიღებასაც მიიჩნევდა საჭიროდ. გარდა ამისა აღნიშნა, რომ არ ეთანხმება საკასაციო სასამართლოს ცალკეულ გადაწყვეტილებებს, ისევე როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს

ცალკეულ გადაწყვეტილებებს, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებებმა გარკვეული სირთულეები შექმნა პირველ ინსტანციაში საქმეთა განხილვის პროცესში. აქვე ხაზგასასმელია, რომ კანდიდატისთვის დასმულ იმ კითხვებზე, რომლებიც ეხებოდა მიშელის დოკუმენტში მოყვანილ პოლიტიკურ შეთანხმებას მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის შეჩერების თაობაზე და ამ შეთანხმებისადმი კანდიდატის დამოკიდებულებას, სასამართლოს მიმართ ნდობის და სასამართლოს დამოუკიდებლობის პრობლემატიკას, სასამართლო ხელისუფლებაში პირთა გავლენიანი ჯგუფების არსებობას, კანდიდატის მხრიდან არ იქნა ბოლომდე ღიად და მკაფიოდ პასუხები გაცემული. კერძოდ, კანდიდატმა არ დააფიქსირა მისი მკაფიო პოზიცია, იყო თუ არა მიზანშეწონილი მოსამართლეთა დანიშვნის პროცესის შეჩერება და აღნიშნა, რომ საერთაშორისო პარტნიორების ამგვარი რეკომენდაცია შესაძლოა იყოს მათთვის არასრული ინფორმაციის მიწოდების შედეგი; კანდიდატის მხრიდან ასევე აღნიშნულ იქნა, რომ სასამართლო სისტემაში არ არსებობს არავითარი გავლენიანი ჯგუფი.

ამასთან, კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ მისი მხრიდან არ გაკეთებულა ემოციური ან არაეთიკური განცხადებები მისთვის არასასურველი და მწვავე, ერთგვარად უხერხული შეკითხვების ავტორთა მისამართით. კანდიდატი მოთმინებით ისმენდა შეკითხვებს და ცდილობდა ყველა მათგანზე პასუხის გაცემას, მიუხედავად ცალკეულ შემთხვევაში მკაფიო პასუხების არქონისა. აღნიშნული გარემოება შემფასებლის აზრით მეტყველებს კანდიდატის პიროვნების სასარგებლოდ და მიუთითებს მის გაწონასწორებულობაზე, მოსმენისა და კომუნიკაციის კარგ უნარებზე.

რაც შეეხება კანდიდატის შეფასებას კანონის წინაშე თანასწორობის იდეის ერთგულების, ეთიკური ღირებულებების და ფართო აზროვნების უნარის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს შემფასებელს აძლევს იურიდიული წრეების წარმომადგენელი პირების გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საქართველოს პარლამენტში კანდიდატის გასაუბრების ამსახველი აუდიო-ვიდეო ჩანაწერი და მისი წერილობითი ნამუშევრები, რაც გამოყენებული იქნა შეფასების ანგარიშის შედგენისას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოკითხულ პირებს არ მიუთითებიათ კანდიდატის მხრიდან პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში რაიმე იმგვარ გადაცდომაზე, რაც შეიძლება განხილულ იქნეს პროფესიული ეთიკის მოთხოვნების დარღვევად, გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კანდიდატმა ვრცლად და დასაბუთებულად ისაუბრა ცალკეულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის დროს დისკრიმინაციის დაუშვებლობის და კანონის წინაშე თანასწორობის

საკითხებზე, რაც გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ კანდიდატს კარგად აქვს გაცნობიერებული კანონის წინაშე თანასწორიბის პრინციპის არსი და მნიშვნელობა.

პროფესიული კომპეტენცია:

კანდიდატი კარგად იცნობს პროფესიულ ლიტერატურას და არის ორიენტირებული სიახლეების მოძიებასა და გაცნობაზე.

კანდიდატი ფლობს კარგად განვითარებულ ზეპირი თუ წერილობითი მსჯელობის უნარს. ამის დასტურია ის წერილობითი ნამუშევრები, რომელიც გამოყენებულ იქნა შეფასებისას. რაც შეეხება ზეპირ კომუნიკაციას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს გააჩნია მოსმენის უნარი, იგი გასაუბრებისას ისმენდა შეკითხვების ავტორთა მხრიდან დასმულ შეკითხვებს, ამყარებდა მათთან ვიზუალურ კომუნიკაციას და ჯეროვნად, თავისუფლად და გამართულად ახერხებდა მეტყველებას და აზრის გადმოცემას დასმულ შეკითხებზე პასუხების გაცემის პროცესში.

კანდიდატი ფლობს კარგად განვითარებულ ანალიზის უნარს. მაგალითად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში დასმულ იქნა შეკითხვა იმის თაობაზე, უნდა იყოს თუ არა სააპელაციო ინსტანციაში სამოქალაქო დავის განხილვის დროს დაშვებული აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის (და არა სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის) გამოხმობის ინსტიტუტი, რაზეც კანდიდატმა შეძლო არგუმენტირებული მსჯელობის წარმართვა.

კანდიდატი კარგად იცნობს კანონმდებლობას და აქვს ნორმათა განმარტების უნარი. გასაუბრების პროცესში იგი თავისუფლად საუბრობდა კანონის ტექსტზე, განსაკუთრებით დეტალურად და ვრცლად საუბრობდა სამეწარმეო სამართლის, იურიდიული პირების გადახდისუუნარობასთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებზე. კანონმდებლობის ცოდნის ფაქტზე მეტყველებს ის გარემოება, რომ კანდიდატს შეუძლია ისაუბროს კანონმდებლობაში არსებულ ცალკეულ ხარვეზებზე და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია იმის თაობაზე, თუ რას მიიჩნევს მიზანშეწონილად პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით (მაგალითად, შეგებებული სარჩელის აღძვრის ვადის განსაზღვრა საქმეთა განხილვის გაჭიანურების თავიდან ასარიდებლად).

კანდიდატი კარგად იცნობს როგორც ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და გასაუბრების პროცესში ცალკეულ საკითხებზე მსჯელობის დროს, კანდიდატმა სწორად მიუთითა ცალკეულ გადაწყვეტილებებზე (მაგალითად: „ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“, „ლეილა საჰინი თურქეთის წინააღმდეგ“). ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე მითითებები იყო რელევანტური და კავშირში იმ საკითხთან, რაზეც კანდიდატი

საუბრობდა კონკრეტულ მომენტში. შესაძლოა ითქვას, რომ კანდიდატის ცოდნის ხარისხი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებთან მიმართებით სრულებით დამაკმაყოფილებელია.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა ძირითადად სწორად განმარტა ასევე სხვადასხვა საერთაშორისო აქტების დანიშნულება და შინაარსი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროშიმ მათ შორის: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის სოციალური ქარტია, ჰააგის კონვენცია ბავშვთა საერთაშორისო მოტაცების თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ კანდიდატმა ფაქტობრივად პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას, იყო ხარვეზებიც მის პასუხებში, მაგალითად, აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრებისას კანდიდატმა ვერ გამოავლინა საქართველოს კონსტიტუციის ცალკეული მნიშვნელოვანი დებულებების სიღრმისეული ცოდნა (მაგალითად ვრცლად ვერ ისაუბრა სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე), საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას მისი პასუხი არ იყო დამაჯერებელი დოკუმენტური აკრედიტივის რაობაზე მსჯელობის ნაწილში, გასაუბრების საერთო მახასიათებლად შეიძლება გამოდგეს ის, რომ მთელ რიგ შემთხვევებში კანდიდატის პასუხები არ იყო ვრცელი და დეტალური, შემოიფარგლებოდა მოკლე მსჯელობით, რიგ შემთხვევებში ნათლად ჩანდა, რომ კანდიდატისათვის გაცილებით უფრო კომფორტული იყო ესაუბრა იმ სამართლებრივ საკითხებზე, რომელთა განხილვაც მას უწევს წლების მანძილზე სასამართლოში, ეს არის სამეწარმეო სამართლის და გადახდისუუნარობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: კვალიფიციური**
- **პროფესიული კომპეტენცია: კვალიფიციური**

9. შავლიაშვილი გიორგი

სამოსამართლო/პიროვნული თვისებები:

კანდიდატი იურიდიულ წრეებში სარგებლობს კარგი რეპუტაციით. გამოკითხული პირების უმრავლესობის მიერ კანდიდატი დახასიათებული იქნა, როგორც კომპეტენტური, პრინციპული, თავდაჭერილი და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანი. აღნიშნავენ, რომ სამართალწარმოების პროცესში ყოველთვის იცავს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებს. მის მიმართ იურიდიული წრეების წარმომადგენელთა დამოკიდებულება არის დადებითი.

კანდიდატი გამოირჩევა სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენისა და საკუთარი ემოციების მართვის უნარით, რაც კარგათ გამოჩნდა, როგორც იუსტიციის უმაღლეს

საბჭოში, ასევე საქართველოს პარლამენტში მასთან გასაუბრების პროცესში. კანდიდატი ნებისმიერი ხასიათის, მათ შორის მისი და მოსამართლეთა კორპუსის მიმართ დასმულ კრიტიკულ შეკითხვებსაც კი პასუხს სცემდა ყოველგვარი აღელვების გარეშე, კორექტულად და არ გაცდენილა ეთიკის ნორმებს. აქვე აღსანიშნავია, რომ მასთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები კანდიდატს ახასიათებენ დადებით პიროვნებად.

რაც შეეხება კანდიდატის შეფასებას საქმისადმი მისი დამოკიდებულების, პრინციპულობის, განსხვავებული აზრის მიმღებლობის, კანონის წინაშე თანასწორობის იდეის ერთგულების, სიმტკიცის გამოვლენის, ეთიკური ღირებულებების და ფართო აზროვნების უნარის მიხედვით, აღსანიშნავია, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს შემფასებელს აძლევს იურიდიული წრეების წარმომადგენელი პირების გამოკითხვით მიღებული ინფორმაცია, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასაუბრების ამსახველი აუდიო-ვიდეო ჩანაწერი და საქართველოს პარლამენტში გასაუბრებისას კანდიდატისგან მიღებული პასუხები, მის მიერ დაწერილი განსხვავებული აზრები და სასამართლო პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომელთა ნაწილზე თავად კანდიდატმაც ისაუბრა პარლამენტში გასაუბრებისას და რომელიც გამოყენებული იქნა შეფასების ანგარიშის შედგენისას.

მისი შეფასებისას ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ უზენაეს სასამართლოში ის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთადერთი მოსამართლე იყო სისხლის სამართლის პალატაში, ამის მიუხედავად, მისი საქმეების განხილვის ვადის დაცვის საპროცენტო მაჩვენებელი 2017-2020 წლებში შეადგენს 96,5% -ს. გადაწყვეტილების მომზადების ვადის მაჩვენებლი კი წარმოადგენს 61,2%-ს. მას აგრეთვე აქვს 5 (ხუთი) განსხვავებული აზრი დაწერილი, რომელთა გაცნობის შედეგად აშკარაა, რომ მას აქვს დამოუკიდებლად და ფართოდ აზროვნების უნარი.

პარლამენტში გასაუბრებისას, მან ასევე მკაფიოდ გამოხატა აზრი, იმასთან დაკავშირებით, რომ კანონის წინაშე თანასწორობა ძალიან მნიშვნელოვანია და ემხრობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, რომელთა თანახმად მაქსიმალურად გაიზარდა და დაახლოვდა მხარეთა შესაძლებლობები, რომელიც უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის დაცვის პრინციპს, როგორც წინასწარ გამოძიებაში, ასევე სასამართლოში. ამასთან, დასმულ შეკითხვაზე ცალსახად უპასუხა, რომ ,,კანონიერი უსამართლობა“ არის, როდესაც თავად კანონია არასამართლიანი. მან უარყოფითად შეაფასა წინა ხელისუფლების პერიოდში მიღებული კანონები, როდესაც მოქმედებდა მხოლოდ შეკრებითობის პრინციპი, ხოლო დადებითად შეაფასა ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებები, მათ შორის ის ცვლილებები,

რომელმაც გაზარდა საკასაციო საჩივრების დასაშვებობის შესაძლებლობა, გაიზარდა დაცვის მხარის უფლებები მტკიცებულებათა მოპოვების ნაწილში და ა.შ.

შესასწავლი მასალის საფუძველზე, შემფასებლის მოსაზრებით კანდიდატს გააჩნია თავაზიანობის, მოთმინების უნარები, ასევე გააჩნია ყველა პირის მიმართ თანაბარი მოპყრობის ვალდებულების განცდა და არის საკმაოდ თავისუფალი მიკერძოებისაგან.

პროფესიული კომპეტენცია:

ამ კრიტერიუმით კანდიდატის შეფასების დროს, შესასწავლი მასალიდან გამომდინარე, კანდიდატს გააჩნია მაღალი ხარისხის იურიდიული განათლება, ინტელექტუალური შესაძლებლობები, ამასთან, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. 2010 წლიდან იგი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; 2015 -2018 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ლექტორი; 2015-2016 წლებში იყო გ. თავართქილაძის სასაწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; 2018 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ლექტორი, ხოლო 2010 - 2011 წლებში იყო ევროკავშირის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროექტის ექსპერტი. კანდიდატი აგრეთვე არის სახელმძღვანელოს ავტორი/თანაავტორი ,,სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებულობისა და ტექსტის სტილისტური გამართულობის თაობაზე“, რომელიც განკუთვნილია საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის.

კანდიდატი კარგად ფლობს ზეპირი თუ წერილობითი მსჯელობის უნარს. ამის ერთ-ერთი დასტური არის მისი თანაავტორობით შექმნილი სახელმძღვანელო წიგნი მოსამართლეთათვის, ასევე, მის მიერ დაწერილი განსხვავებული აზრები, რაც გამოყენებულ იქნა შეფასებისას.

კანდიდატი კარგად იცნობს კანონმდებლობას სისხლის სამართლის მიმართულებით და აქვს ნორმათა განმარტების უნარი. კანდიდატმა პარლამენტში გასაუბრებისას ფართოდ ისაუბრა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში წარსულში არსებულ უკანონობასა თუ ხარვეზებზე და ასევე იმ ცვლილებებზე, რომელიც განხორციელდა და რა მიმართულებით მოხდა კანონმდებლობის დახვეწა და გაუმჯობესება. აგრეთვე, მან მოიყვანა მაგალითები უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან, რომელმაც უფრო მაღალი სტანდარტი დაამკვიდრა ბრალის დამტკიცების და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის მტკიცებულებათა საკმარისობაზე.

კანდიდატი კარგად იცნობს როგორც ეროვნულ სასამართლო პრაქტიკას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

კანდიდატმა როგორც იუსტიციის საბჭოში, ასევე პარლამენტში გასაუბრებისას პასუხი გასცა ფაქტობრივად ყველა შეკითხვას, თავი შეიკავა მხოლოდ რამდენიმე შეკითხვაზე სამოსამართლეო ეთიკიდან გამომდინარე, როდესაც კითხვა ეხებოდა მისი კოლეგების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს პარლამენტში მოსმენისას, კანდიდატმა ერთ-ერთი დეპუტატის მიერ დასმულ შეკითხვაზე თუ როგორ აფასებს ის 2012 წლამდე და 2012 წლის შემდგომ პერიოდს მართლმსაჯულების ჰუმანურობისა და სისასტიკის ნაწილში, კანდიდატმა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნა, რომ 2012 წლის შემდეგ უფრო ჰუმანური გახდა კანონმდებლობა, რისი მაგალითებიც არის შეკრებითობის წესის გაუქმება, სასჯელის ლიბერალიზაციის პოლიტიკა, ხოლო სისასტიკესთან დაკავშირებით, მან პოლიტიკური შეფასებისგან თავი შეიკავა, თუმცა აღნიშნა, რომ 2012 წლამდე სისხლის სამართლის პოლიტიკა გარკვეული წლების განმავლობაში იყო მკაცრი, რაც ხაგრძლივი პერიოდი გაგრძელდა და რის შედეგადაც ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევებმა იმატა, ხოლო დღეისათვის არ არის მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა, გარდა ოჯახური ძალადობის საქმეებისა, რომელიც კონვენციურად, რომლის განმარტების ოქმშიც პირდაპირაა მითითებული, რომ ნულოვანი ტოლერანტობა უნდა იქნას გამოყენებული ოჯახური ძალადობის საქმეებზე. თუმცა ამ მიმართულებითაც სიმკაცრე შეიცვალა ზომიერებით.

შეფასება:

- **სამოსამართლო თვისებები: კვალიფიციური.**
- **პროფესიული კომპეტენცია: მაღალკვალიფიციური.**